ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო — რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№22 (56) თებერვალი, 2007 წელი — ფასი 30 თეთრი

დიდმარხვის დღეები კარგა ხანია ჩამოდგა, ცოდვილნი ღმერთთან მიახლოვებას, „საკუთარ თავში ქრისტეს გადარჩენას“ ვცდილობთ, ხან ადმართია, მძიმე, დაუსრულებელი, ხანაც დაღმართი სულის ზეიმითა და ქრისტესმიერი სიყვარულით გაჯერებული... უფრო ხშირად გუგუნებენ ჩვენი ტაძრების დიდა-ზარები, უფრო ხშირად გვიხმობენ, იქ, სადაც გვეძლევა შანსი მიტევებისა, სიკეთის კეთებისა, მონანიებისა, სათნოებისა...

დიდმარხვის დღეებში ჩვენ მკითხველს ალბათ ყველაზე მეტად მასთან შეხვედრა გაახარებდა და ჩვენც სწორედ ასე გადავწყვიტეთ: სტუმრად ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსს სტეფანეს ვეწვიეთ.

„ერთად ვევედროთ ღმერთს!..“

ინტერვიუ ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანესთან

მეუფეო! დიდმარხვის დღეები მიდის... რას ეტყოდით მრევლს, იმათ, ვინც უკვე შედგომია მარხვას და იმათაც, ვისაც ჯერაც არ დაუწყია?

–საერთოდ მარხვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა თვით სამოთხე დაკარგა მარხვის დარღვევის გამო. მას ძალიან ძვირად დაუჯდა ეს, რადგან მიირთვა ის აკრძალული ნაყოფი, რომლის ჭამაც არ შეიძლებოდა და ადამიანი ყოველივე ამის შედეგად დაეცა. ამას შედეგად მოჰყვა ცოდვების მთელი „დასტა,“ იგივე ურჩობა. ახლა მონანული ადამიანი მარხვით ცდილობს გამოისყიდოს ეს ცოდვები და გამოხატოს უფლისადმი ერთგულება, რითაც მას სურს დაადასტუროს მორჩილება და სიყვარული. სახარებაში ნათქვამია: როცა უფალს ეკითხებიან, როგორ შეიძლება სძლიო ეშმაკს და ბოროტს ის პასუხობს: „ეს მოდგმა შეიძლება მხოლოდ მარხვითა და ლოცვით დაამარცხოთ.“ ამიტომ მარხვასა და ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ეს ორი ერთად აძლიერებს ადამიანს და იცავს მას ბოროტი ძალებისაგან. ლოცვა მარხვის გარეშე ცალი ფრთასავითაა და პირიქით – მარხვა ლოცვის გარეშეც ასევეა. რომ გაფრინდე ორივე უნდა გქონდეს, ცალი ფრთით ხომ ვერ მიაღწევ აფრენას. როცა ადამიანი ცდილობს მარხვა დაიწყოს, ეს თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯია ღვთისაკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ მოდი ეცადე, მარხვას რადგან იცავ, იმასაც მიაღწიე, რომ ზიარებით და აღსარებით სრულიად მიაღწიე შედეგს. მარხვის დღეები მართალია თითქოს მძიმეა, მაგრამ ამავე დროს ამაღლებულიცაა, დღესასწაულია, რადგან ადამიანი მატერიალურის ნაცვლად, სულიერებისკენ იხედება. მარხვის გარეშე აღდგომის ფასს ვერ შეიცნობს ადამიანი.

აი, ეს არის მარხვის დანიშნულება.

ჩვენ გვაქვს მარხვის მაგალითები როგორც სახარებაში, ასევე ძველ აღქმაში, როცა ადამიანები იცავდნენ მარხვას და ცდილობდნენ თავისი ცოდვების გამოსყიდვას, ღვთისადმი სიყვარულის გამოვლენას: მაგალითად იონა წინასწარმეტყველის ქადაგების შემდეგ ქალაქ ნინევიაში ყველამ მარხვის დაცვა დაიწყო და ამის შედეგად მათ მიაღწიეს იმას, რომ ქალაქი ნინევია არ დაიტანჯა ღვთისაგან, თუმც აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. იქ წარჩინებული თუ უბრალო ადამიანები გულით შეუდგნენ სინანულს, მარხვას და ლოცვას. სწორედ ამან შეაჩერა უფალი, რათა არ ეტანჯა ისინი. ასევე ჩვენ ვიცით როგორ მარხულობდა იოანე ნათლისმცემელი, თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, სანამ იგი მსახურებას დაიწყებდა. ასე, რომ მარხვის მაგალითები უამრავი გვაქვს ჩვენ და ამ ტრადიციას არ ვარღვევთ. ეს არ არის უაზრო ტრადიცია, აქვს დიდი დატვირთვა, მიზეზი, რომ ადამიანი დაბრუნოს ღმერთთან და დაიცვას იგი ბორო-

–თემა, რომელსაც ახლა შევეხებით კარგა ხნის ნაცნობია მკითხველისთვისაც, საზოგადოებისთვისაც... წლებია ჭიანურდება წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიისათვის შენობის გამოყოფის საკითხი, რაც ავტომატურად ხელს უშლის ლიცენზირებასაც...

–მე ვიტყოდი: არაფრით მოველოდი თუ ჩვენს ამ წამოწყებას ასეთი წინააღმდეგობა დახვდებოდა, მაგრამ ღვთისწყალობით კვლავ მრავალ წინააღმდეგობას დავძლევთ და მომავალი სასწავლო წლისათვის გვექნება საშუალება ნორმალურ პირობებში განვაგრძოთ სწავლის პროცესი. რაც შეეხება სასწავლო პროცესს ის სრულიად გამართულია და მშობლებიც კმაყოფილია, მხოლოდ იურიდიული პრობლემებია მოსაგვარებელი, თუნდაც ატესტატების გაცემა, მაგრამ მომავალ წელს ჩვენ ამასაც დავძლევთ. რაიონის ხელმძღვანელობამ აქტიურად დაგვიჭირა მხარი და ალბათ ყველაფერი მალე გადაწყდება.

–ჟურნალ „ხვამლის“ ბოლო ნომრის წინა გვერდზე წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ტაძრის მაკეტია გამოსახული. ნების

გვ.2

ბანკი რესპუბლიკა
ანგარიში ლარებში: 3608080392
სავალუტო ანგარიში: 3618080392

სახალხო ბანკის ცაგერის ფილიალი
ანგარიში ლარებში: 33050064

ძვირფასო ლეჩხუმელებო!

ღვთის განგებით ლეჩხუმში წმინდა მაქსიმეს ეკლესია უნდა აშენდეს. ეს დიდი მადლია ჩვენი კუთხისათვის, დიდი წყალობა ღვთისაგან და დიდი იმედი მომავლისათვის... თუ ლეჩხუმს, როგორც ერთ ლამაზ კუთხეს, არსებობა უწერია, ეს წმინდა მაქსიმეს მადლი იქნება. წმინდანი ხომ გვმოძღვრავს: „დავემორჩილით ღვთის სიტყვას...“

მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევით მიმდინარე წელს ქალაქ ცაგერის ცენტრში დაიწყება მშენებლობა წმინდა მაქსიმეს საკათედრო ტაძრისა, რომლისკენაც მომართულია მსოფლიო მართმადიდებლური სამყაროს დიდი ინტერესი...

ძვირფასო ლეჩხუმელებო! თუ ოდესმე გიფიქრიათ ჩვენი ლამაზი კუთხის გადასარჩენად, ახლა გვეძლევათ შანსი აკეთოთ ღვთის საქმე.

გთხოვთ გაიღოთ ფულადი შემოწირულობანი, (თქვენი შესაძლებლობის ფარგლებში და დავანახოთ ადამიანები მადლის გაცემის თქვენეული ვარიანტი)...

ლეჩხუმელებო, ხომ არ მოვიკოჭლებთ ჩვენი კუთხის გვერდში დგომის საქმეში, დავივიწყოთ პასიურობა და დავდგეთ დიდი მადლის კეთების რეალობის წინაშე.

ლეჩხუმელ მანდილოსანთა წარმომადგენლები

„ერთად ავაგოთ ტაძარი!..“

ინტერვიუ საბერძნისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანესთან

(დასასრული)

მიერი მისი მნახველი აღფრთოვანებულია. რომ აშენდება ალბათ შემდეგ უფრო შთამბეჭდავი იქნება...

–ტაძრის მშენებლობის პირველი მოსურნე ჩვენი მოსახლეობაა, ყველა დიდი ენთუზიაზმით ეკიდება ამ საქმეს, შეიძლება ვინმეს ბევრის გაღება არ შეუძლია, მაგრამ სწორედ უბრალო ხალხისგანაა შემოწირულობები. ეს თავდადება და სურვილი მეგ ინტერესს აღძრავს შეძლებულ ადამიანებში, რათა მათ შესაძლებლობის მიხედვით გაიღონ...

ჩვენ გვაქვს შეთანხმება უწმინდესთან ტაძრის მშენებლობის ფონდის წარდგინებაზე საპატრიარქოში და ჩვენი რაიონის გამოჩენილი ადამიანებიც იქ მოიყრიან თავს, სიამოვნებით გაიღებენ ისინი თავიანთ წვლილს ტაძრის მშენებლობაში, ამ გაზაფხულზე უნდა მოვახერხოთ ტაძრის მშენებლობის დაწყება. უწმინდესთან და ანგორ ბურჯანაძესთან, რომელიც საზოგადოება „ლეჩხუმის“ საზოგადოების თავმჯდომარეა, მქონდა საუბარი ამ თემაზე. ჩვენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გასული ლეჩხუმელებიც გვეხმარებიან და ტაძრის მშენებლობაში დახმარებას გვთავაზობენ. პრაქტიკულად პირველი ნაბიჯები საპატრიარქოში უნდა გადაიდგას. საძირკველის ჩასხმაზე თვით პატრიარქმაც გამოთქვა ჩამობრძანების სურვილი... ღვთის მადლით ალბათ ყველაფერი აეწყობა, მოსახლეობა მზადაა ჩაებას მშენებლობაში, „შავი საქმე“ არ უნდა იყოს ფასიანი, მორიგეობა უნდა შემოვიღოთ, მამაკაცები ფიზიკურად იმუშავებენ, ქალები სადილს გაამზადებენ. სოფლებიდანაც ძალიან დიდი გამოხმაურებაა. ამ ტაძრის მშენებლობა არავის ეგიდით არ ხდება, არცერთ კონკრეტულ პიროვნებებს არ უნდა მივაწეროთ იგი, ჩვენი დევიზი ხომ ასეა:–„ერთად ავაგოთ ტაძარი!“

–მეუფეო! თქვენ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით რესპუბლიკაში ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი ბრძანდებით. ხომ არ გეგმავთ ლეჩხუმელი ახალგაზრდების ჩაბმასაც ამ საქმეში, რომლებმაც უკვე აღარ იციან დრო რაში დახარჯონ?..

–თბილისში უკვე ამ ცენტრში ახლადსკოლადამთავრებული ლეჩხუმელი ახალგაზრდები გვესტუმრნენ და საქმიანბაშიც ჩაებნენ. ლენტეხელ ახალგაზრდებიც მოდიან, მაგრამ ჩვენ მარტო თბილისში არ ვმოღვაწეობთ, რეგიონებშიც გავშლით ამ საქმიანობას, ჩვენს ეპარქიაში კი პირველ რიგში... გვექნება შემეცნებითი პროგრამები, უნდა მოვახერხოთ კვირის ყოველი დღე შემეცნებითი პროგრამით დავტვირთოთ. ორშაბათს–ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, სამშაბათს–ისტორია, ოთხშაბათს–ქართული ენა, ლიტერატურა, ხუთშაბათს–ხელოვნება, პარასკევს–ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა, შაბათს–სოფლის მეურნეობა და ეკოლოგია, კვირას–ფილმების ჩვენება. ამას ყველაფერს გარკვეული ორგანიზება სჭირდება. ამის გაკეთება ადვილი არაა, შევეცდები, რომ ჯერ ნაწილი მაინც ავამოქმედო და ასე, ეტაპობრივად. ჩემი პირადი მონაწილეობაც იქნება, მაგრამ ახალგაზრდებმა თვითონ უნდა იაქტიურონ, ინიციატივა უნდა აიღონ, ადგილიც შესარჩევია, ტექნიკური პრობლემებიც დგას, მაგრამ ღვთის შეწევნით ყველაფერს მოევლება.

გმადლობთ, მეუფეო!

მარინა სვანიძე

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 70 წლისაა

„1937 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში, თბილისში, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებაში გამოცხადდა მხატვარი ამხ. ვარლამ ბესარიონის ძე მახარობლიძე, რომელმაც გამოთქვა სურვილი ცაგერში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ჩამოყალიბების შესახებ.

ამ საკითხის მოსაგვარებლად მივმართეთ საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელმაც მოიწონა მახარობლიძის ეს ინიციატივა და დამევალა მე, როგორც საზოგადოების სწავლულ მდივანს, მახარობლიძესთან ერთად წავსულიყავი ცაგერში და მოგვეთათბირა ადგილობრივ ხელისუფლებასთან მუზეუმის ჩამოყალიბების შესახებ, ცაგერში ჩავატარეთ საორგანიზაციო საკითხები. მუზეუმის მოწყობა და ხელმძღვანელობას დაევალა ამხ. ვარლამ მახარობლიძეს... „საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების სწავლული მდივანი პროფესორი სერგი მაკალათია.“



1937 წლის აგვისტო

ასე ჩაეყარა საფუძველი ცაგერში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებას, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ ბატონი ვარლამ მახარობლიძე და რომელიც მას 21 წელი ხელმძღვანელობდა. ის გამორჩეული იყო თავისი ნიჭიერებით და მიზანსწრაფვით. იყო თვითნასწავლი მხატვარი და გამოფენებს აწყობდა საქართველოსა და მოსკოვში. ვარლამი რაიონის რაიონის სინამდვილეში ყველა ახალი წამოწყების ინიციატორი გახლდათ თეატრის დაარსებისა თუ სხვა...

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებას საფუძველი ჩაუყარა ვ. მახარობლიძის მიერ მოკვლეულმა ნივთიერმა მასალამ. ჩვენი ექსპონატების 60%-ზე მეტი მისი ხელითაა მოძიებული ლეჩხუმის ყველა სოფელში.

მუზეუმის დაარსებამ ნერტილი დაუსვა ჩვენი კუთხიდან ძვირფასი ექსპონატების გადინებას ყველასათვის ალბად არც არის ცნობილი, რომ 20-იანი წლებიდან ვინმე ლაილაშელი ჯანუაშვილის მიერ ლეჩხუმში შეგროვილი არქეოლოგიური მასალა იგზავნებოდა ერმიტაჟში, თბილისსა და ქუთაისის მუზეუმებში. ამიტომ ჩვენ ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს 60 ცულიდან მხოლოდ 20-ია შემორჩენილი ადგილზე.

მარადიულ ფასეულობათა საგანძე

მათ შორის, ბატონი ვარლამის მიერ შეგროვილ ექსპონატებში გამოირჩევა ბევრი ექსპონატი, რომლებსაც ანალოგი არ მოეძებნება, მათ შორისაა ბრინჯაოს მხედარი (მე-8 საუკუნე).

რაიონის სინამდვილეში მუზეუმი ნახევრადსამეცნიერო დანესებულებაა. დღეისათვის მუზეუმში დაცულია 14 ათასამდე ძირითადი ექსპონატი, რომელიც მოვლას და პატრონობას მოითხოვს.

მუზეუმს სამომავლოდ კიდევ დიდი დატვირთვა ექნება. რაიონში შენდება მე-7 საუკუნის მოაზროვნის ფილოსოფოსის და დიდი საეკლესიო მოღვაწის მაქსიმე აღმასრულებლის სახელობის საკათედრო ტაძარი.

დღესათვის მართლმადიდებლური სამყაროს ინტერესი დიდია ლეჩხუმისადმი. ღვთის შეწევნით ლეჩხუმი გადარჩება მოსახლეობის დაცლისაგანაც. წმინდანის ეკლესიას ბევრი მომლოცველი გაუჩნდება უცხოეთიდანაც... ამ შემთხვევაში მუზეუმი ერთერთი საინტერესო ადგილი იქნება დამთვალიერებლისათვის.



ასე რომ, ჩვენი მუზეუმი 70 წლისაა.

თინათინ საღინაძე

განცხადება

საბერძნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი

სამგზავრო ავტობუსებზე ფასების მოწესრიგების შესახებ.

მოსახლეობის სამართლიანი პრეტენზიების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან, სამგზავრო ავტობუსებზე დაწესდეს შემდეგი ფასები:

მგზავრობის ღირებულება ლარებში:

1	დეხვირი	ქუთაისი	4 ლარი
2	აღვი	ქუთაისი	4 ლარი
3	ოყურეში	ქუთაისი	3 ლარი
4	ზუბი	ქუთაისი	3 ლარი
5	ქულბაქი	ქუთაისი	4 ლარი
6	ლეშკედა	ქუთაისი	4 ლარი
7	საირმე	ქუთაისი	4 ლარი
8	ზოგიში	ქუთაისი	3 ლარი
9	ღვირიში	ქუთაისი	3 ლარი
10	ტვიში	ქუთაისი	3 ლარი
11	ნასპერი	ქუთაისი	4 ლარი
12	ნაკურალეში	ქუთაისი	4 ლარი
13	ცაგერი	თბილისი	15 ლარი
14	ცაგერი	ქუთაისი	4 ლარი
15	ორბელი	ქუთაისი	4 ლარი
16	ცაგერი	ქუთაისი (მიკრო ავტ.)	5 ლარი
17	ტვიში	ცაგერი	3 ლარი
18	ლაჯანა	ცაგერი	2 ლარი
19	ლაილაში	ცაგერი	2 ლარი

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ო. ჭაბუკიანი

ჩვენი ინტერვიუ

სახანძრო სამსახური: კოლექტივი მზადყოფნაშია, მაგრამ...

რედაქციაში დავალების მიღების შემდეგ ცოტა ხნით წარსულში დავბრუნდი, გამახსენდა წლების წინ. როდესაც ცნობიერება ჯერ კიდევ სრულფასოვნად არ მქონდა ჩამოყალიბებული, ყოველ დილა-საღამოს, ბაღში მიმავალ-მომავალი, გვერდს ვუვლიდი სახანძრო შენობას, ვიცოდი მაშინ რა იყო ამ სამსახურის ფუნქცია, თუმცა გაუგებარი იყო რა დანიშნულება ჰქონდა სახანძრო ეზოში ამოსულ, უშარმაზარ ცაცხვის ხეზე, საღღაც კენწეროზე საგანგებოდ გაკეთებულ პატარა ხის აივანს, სადაც რიგრიგობით ადიოდნენ სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები, ხმამაღალი და უცნაური შეძახილებით, მერე რკინის კიბით ეშვებოდნენ მიწაზე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომწონდა ეს სურათი მაშინ, თვალები მომექცეოდა_ხოლმე უკან, იმის ნატვრით, რომ ოდესმე მეც მოვხვედრილიყავი ჰაერში დაკიდებულ აივანზე და ზევიდან გადმოვხედა იქაურობისთვის.

ჩემი მიზანი იყო, გამეგო, როგორ მუშაობს ერთ დროს სტრუქტურულად ყველაზე უფრო გამართული, ორგანიზებული, ფრთხილი და რაც ყველაზე მთავარია, დიდი ტრადიციებს მქონე ცაგერის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური დღეს.

ჭიშკარი ფრთხილად შევაღე და გაოცება ვერ დავმალე, თითქოს მომეჩვენა პირდაპირ გაზაფხულში შევედი, რადგან ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ ამ ეზოში ზამთარს წელს არ გაევლო, ეტყობა სახანძროს თანამშრომლები წელვანდელმა მკაცრმა ზამთარმა გულზე ისე შეაღონა, რომ როგორც კი თოვლის თავიდან მოცილების შესაძლებლობა შეიქმნა, ნამცეციც არ დაგოვეს ეზოში. დღე თბილი და მზიანი იყო, საუბარიც ამინდის შესაფერისი. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსს ბატონ **თემურ ბერიძეს** ჩემი მისია გავაცანი და მოკრძალებული პასუხიც მივიღე_„მადლობთ, რომ გაგახსენდით, ხანძარი და უბედურება ღმერთმა ყველას გვაშოროს, მაგრამ ერთმანეთის გვერდში დგომა, კონკრეტულ შემთხვევაში სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება, ხომ მეხანძრეების უპირველესი საქმეა“.

ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, ახლა ყალიბდება. ადგილობრივი ხელისუფლების სამადლობლად უნდა ითქვას, რომ სახანძრო სამსახურში შენარჩუნებულია ყველა სტრუქტურული თუ საკადრო ერთეული, რომელიც აუცილებელია სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის.

ჩვენ კარგად მოგვეხსენება თუ რა მდგომარეობა იყო აქ. მიუხედავად გაჭირვებისა, უხელფასობისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუარესებისა, პოზიციები არასოდეს დაუთმია მეხანძრეებს, ისინი თავიანთი წინამორბედების ტრადიციებს აგრძელებდნენ_„კარგად მახსოვს, როგორ ვაქრობდით მოუწესრიგებელი სპეცტანსაცმლით, გაუმართავი სახანძრო მანქანებით, დაცხრილული წყლის შლანგებით მუზეუმში თუ სხვაგან გაჩენილ ხანძარს. თავის მოწონებად არ ჩამომართმევს მკითხველი თუ ვიტყვი, რომ იმ სიტუაციაში მეხანძრეების საქმიანობა გმირობის ტოლფასი იყო“_ამბობს ბატონი თემური. უკანასკნელ წლებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა, გაუმჯობესდა ამ სამსახურის ბაზა, გადახალისდა კადრები. ვერ იტყვი, რომ გასაკეთებელი ცოტაა, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ არსებული სიტუაცია გამართული მუშაობის საშუალებას არ აძლევს მეხანძრეებს, ღმერთმა ყველას დაგიფაროთ, თორემ ისინი მზად არიან ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

მეხანძრის სამუშაო სპეციფიკურია და აქ კადრებს გარკვეული მომზადება სჭირდება. ამიტომ განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა ისინი კადრების ცვლილებას ერიდებიან. ამჟამად ჰყავთ გამოცდილი მეხანძრეები, მძღოლები, ინსპექტორები და სხვა. ყველა აუცილებელი და ძირითადი კადრია, რომელთა საერთო რაოდენობა 28-ს შეადგენს, არის საშიშროება იმისა,

რომ 18-მდე შემცირდეს, შენაცვლებით მორიგეობს მეხანძრეთა 4 ბრიგადა, არის რეზერვი კადრებიც.

რეგულარულად ეწყობა შეჯიბრებები, ტექნიკური სწავლებები კადრებისთვის, სწორედ ამ სწავლებას ემსახურება თურმე, ის ხის აივანიც, რომელიც, როგორც ბატონმა თემურმა გვითხრა, შარშან ზამთარში ჩამონგრეულა. სამწუხაროდ, მასაც უმუხთლა დრომ და ჟამმა. ქალაქის სამსახურებში ასეთ აივნებს ახლა რკინის კონსტრუქციებისგან აკეთებენ. ის აუცილებლობას წარმოადგენს ყველა სახანძრო სამსახურში ტექნიკური სწავლებისთვის.

სახანძრო სამსახურის თანამშრომლები ჩვენი რაიონის მაცხოვრებლები არიან. ისინი კარგად ხედავენ ბიუჯეტის შესაძლებლობებს და მათი მოთხოვნებიც სწორედ აქედან გამოდის, თუმცა მოხარული იქნებიან, რომ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უფრო გამართული იყოს, მათაც სურთ ჰყავდეთ 70-80 ათას დოლარიანი სახანძრო მანქანები. ეს შეუძლებელია ჩვენი ბიუჯეტის პირობებში. ბოლო წლების განმავლობაში მეხანძრეთა მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა, 2 წლის წინ მეხანძრის ხელფასი 45 ლარს არ სცილდებოდა, იგი დღეს 130 ლარს შეადგენს, გაიზარდა სხვა მუშაკთა ხელფასებიც. გარკვეულად მოწესრიგდა შენობა, შესაძლებლობის შესაბამისად შეიძინეს სპეც. ტანსაცმელი, სხვა ინვენტარი. ამ სამსახურის პრობლემებით ხშირად ინტერესდებიან „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაცია, საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ვალერი გიორგობიანი.

70-80-იან წლებში გამოშვებული და რასაკვირველია მოძველებულია, ამ მიზნით რაინულ ბიუჯეტში გარკვეული თანხა გათვალისწინებულია, მაგრამ იგი მიზერულია. ბატონი თემური თავის მხრივ ცდილობს, რომ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიაღწიოს შეთანხმებას და თბილისის ან ქუთაისის სახანძრო ნაწილებიდან მიიღოს შედარებით ახალი 2 სახანძრო მანქანა. ორი მანქანა სახანძროში ამ ეტაპზე გამართულად მუშაობს.

სამომავლო გეგმად და უპირველეს მიზნად სამსახურის მთელი კოლექტივი იმას ისურვებს რომ ხანძარი საერთოდ არ მოხდეს, ეს მარტო მათი ამოცანა არ არის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმრავლესობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას, ისიც ხომ ფაქტია, რომ ძირითად ორგანიზაციებში მოუწესრიგებელია ელექტრო გაყვანილობა, ხშირ შემთხვევაში ირღვევა საწვავ-საცხები მასალების გაყიდვის საყოველთაოდ დადგენილი წესები. სხვადასხვა ორგანოებთან კოორდინებული მუშაობაა საჭირო, ყველა კანონის დაცვით. მეხანძრეთა მიზანი, ამოცანა და გეგმაც სწორედ ეს არის_ღმერთმა ხანძარი გვაშოროს.

ეკა ბენდელიანი

ვეტერანები: ფიქრები ხმამაღლა

უკეთესის მოლოდინში

თებერვლის, სუსხიან დღეებში, თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის და პარლამენტის წინ აქციებს მართავდნენ ომგადახდილი ვეტერანები. ხელთ ეჭირათ წითელი ვარდები და ტრანსპარანტები წარწერით: „შვილებო, ზურგს ნუ შეაქცევთ მამებს“, სიცივისგან გათოშილები ამაოდ ელოდნენ პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრას. მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ომის ინვალიდებთან შეხვედრისათვის დრო ვერ გამოინახა, მოთმინებასაც ხომ თავისი საზღვარი აქვს. რამდენიმეს ნერვებმა უღალატა და მინისტრ ჭიპაშვილის პორტრეტი დაწვეს...

რამ აღაშფოთა ეს ღვაწლმოსილი ადამიანები. რას მოითხოვენ ისინი ხელსუფლებისაგან?

ეს ის ხალხია, ვინც დიდი სამამულო ომის სიმძიმე, მებრძოლ მილიონებთან ერთად თავის მხრებზე გადაიტანა, ფაშიზმი გაანაგურა და დასაბამი მისცა ხანგრძლივ მშვიდობას, ისინი ომის დამთავრების შემდეგ ენთუზიაზმით შეუდგნენ დანგრეული ეკონომიკის აღდგენას. მათი თავდადებული შრომის წყალობით ქვეყანამ არნახულ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ტრიუმფით ვითარდებოდა მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა...

გარჯა დაუფასდა ომგადახდილებს. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებდა მათი მორალური, სულიერი, მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში მოვლენები რადიკალურად შეიცვალა. რამდენიმე წელიწადში განადგურდა სამრეწველო ობიექტები, დაანგრიეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, როგორც „კომუნისტური ტირანიის გადმონაშთები“...

90-იან წლებში საბჭოთა არმიის ყოფილი მეომრების_სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფასაც არ აკლებდნენ... საბედნიეროდ, მათდამი დამოკიდებულება გამოსწორდა. საქართველოს პარლამენტმა 1994-96 წლებში რამდენიმე კანონი მიიღო. ომის ვეტერანებზე 37 დასახელების შეღავათი გავრცელდა. მათ შორის უფასო სამედიცინო დახმარება, შეღავათები კომუნალური მომსახურების სფეროში, ასევე საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სამწუხაროდ ეს „ფუფუნება“ ომგადახდილისათვის დიდხანს არ გაგრძელდა. მოგეხსენებათ, ქვეყანას პრობლემას რა გამოულევს. საჭირო იყო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად ზომების მიღება. გამოსავალი იპოვეს_სამამულო ომის მონაწილეების შეღავეთები თურმე მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფოს და მის შესამსუბუქებლად იოლი გზა გამოინახა. ახალგაზრდა პარლამენტარებისაგან, რომელთაც წარმოდგენაც არ აქვთ რა არის ომი, შექმნეს კომისია, რომელშიც არცერთი კვალიფიციური ომის ვეტერანი არ შეიყვანეს.

2005 წლის დეკემბრის პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენილი კანონის პროექტი ერთხმად დამტკიცდა, ომის ვეტერანებს ყველა შეღავათი, მცირე გამონაკლისის გარდა, გააუქმეს. 2006 წლის დასასრულს საერთოდ ყველა შეღავათი გაუქმდა, გარდა ერთისა_ომის ვეტერანი რომ გარდაიცვლება, მის ოჯახს 250 ლარი მიეცემა დაკრძალვისათვის (ე.წ. სარიტუალო ხარჯები).

_ამიერიდან თქვენც მოისვენებთ და ჩვენცო, დაგვანუგეშეს პარლამენტარებმა.

ჩვენი პრეზიდენტის შესაშური, დაუშრეტელი ენერგია, ტემპერამენტიანი, ემოციური და ღრმაშინაარსიანი გამოსვლები საერთაშორისო ფორუმებზე, უცხო ქვეყნების დელეგატებთან შეხვედრისას

უდიდეს შთაბეჭდილებას ⇨ გვ.2

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო–ეს ის სამსახურია, რომელსაც იმედით შეჰყურებს ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობა. სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამის წყალობით დღეს მრავალი ოჯახი უმკლავდება უკიდურეს სიღარიბეს და მადლიერებას გამოხატავს დახმარების გამო. მაგრამ საზოგადოებაში არაერთგვაროვნა აზრია. ბევრმა ვერ მიიღო დახმარება, იმედი გაუცრუვდა. თვლის, რომ ეკუთვნის და არ დააკმაყოფილეს. ერთი სიტყვით, არის პრეტენზიები, არაერთი კითხვა და ეჭვი...

სამსახურის მუშაობით ჩვენი გაზეთი არაერთხელ დაინტერესებულა, მაგრამ იმდენად ფაქიზია ეს სფერო, იმდენად სასიცოცხლო მნიშვნელობის, რომ საჭიროდ ჩათვალეთ ერთხელ კიდევ გავსაუბრებოდით სააგენტოს უფროსს მარინე ბენდელიანს და სპეციალისტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველ სიდაჯერეში ვიყავიტ

თქვენი მუშაობის სპეციფიკაში, ასე თუ ისე, ერკვევა მოსახლეობის ნაწილი. მაგრამ მეტი გამჭვირვალობისათვის კიდევ სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობებზე, სოციალურად დაუცველ ოჯახებისათვის მიზნობრივი პროგრამის განხორციელებაზე.

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო ემსახურება სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობას. ამისათვის ჩვენთან შემოდის უამრავი განაცხადი. განაცხადის შემოსვლიდან 2-3 თვეზე საჭირო სათანადო პროცედურების გასავლელად, ამის შემდეგ ზემდგომიდან მოვიპოვებთ კოდს და ჩვენს აგენტს უფლება აქვს შევიდეს ოჯახში სპეციალური დეკლარაციის შესავსებად. ყოველივე ამის თაობაზე კონსულტაციას ვაძლევთ თითოეულ განმცხადებელს, მაგრამ ვსარგებლობ შემთხვევით და გაზეთის საშუალებით მინდა კიდევ ერთხელ ვთხოვო ჩვენს მოსახლეობას–ძალზე ბევრი რამაა დამოკიდებული ოჯახის იმ უფლებამოსილი წევრის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებაზე, რომლის კარხანითაც ვავსებთ დეკლარაციას, ეს რომ სწორად და ობიექტურად ხდებოდეს, ამდენი წინააღმდეგობა და უხერხულობა აღარ შეგვხვდება. ამასთან არ გამოვრიცხავთ სოციალური აგენტების პასუხისმგებლობას, რომლებით დეკლარაციის კითხვების ბოლო ბლოკში დამოუკიდებლად, ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, ოჯახის წევრების შეუთანხმებლად აკეთებენ საკუთარ დასკვნას და შეფასებას ოჯახის საცხოვრისის მდგომარეობის შესახებ.

დეკლარაციები იგზავნება გამოთვლით ცენტრში, სადაც აითვლება ქულები და ენიჭება შესაბამისი რეიტინგი.

კონკრეტულად შარშანდელ საქმიანობაზე რას გვეტყვით?

შარშან სააგენტოში 4000-მდე ოჯახმა მოგვმართა პროგრამაში მონაწილეობისთვის. შემოწმებულ იქნა 90 პროცენტი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ განცხადებები ეტაპობრივად შემოდის, და როგორც ზევით ითქვა, კოდის მოპოვებამდე გარკვეული დროა საჭირო.

დღეისათვის 1644 ოჯახი იღებს ფულად დახმარებას 5 წლიანი პროგრამით.

შარშან 3721-მა ოჯახმა მიიღო აგრეთვე ელექტროენერგიის ვაუჩერი–121471 ლარი.

რაც შეეხება სამედიცინო პოლისებს, პროგრამაში მონაწილეთა 75-80 პროცენტმა მიიღო და ისარგებლა. იმედია, მარტიდან წელსაც გაგრძელდება. პროგრამა ხუთწლიანია და ვაგრძელებთ მუშაპროცესს.

რაც შეეხება მოსახლეობის ხუთ კატეგორიას, რომელთაც ემსახურებოდა სოცდახმარების განყოფილება, ამიერიდან ჩვენ მოვემსახურებით. გარდა ფულადი დახმარებისა, სააგენტოს ეგიდით შარშან ავადმყოფებს უფასოდ გადავეცით 8 სმენის აპარატი, 8 ინვალიდის ეტლი, 2 ხელჯოხ-ყავარჯენი და 2-იც უსინათლოს ხელჯოხი.

ასე რომ, გაწეული მუშაობით არ ვართ უკმაყოფილო.

ხომ წარმოგიდგენიათ, ოჯახები, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ აქვთ და ვერ მიიღეს დახმარება, ან ფიზიკურად არა აქვთ მოსვლის საშუალება, მათი გაღიზიანება არ უნდა იყოს უცხო. დღეს მე პირადადაც რამდენ მთხოვნელს შევესწარი. ბუნებრივია, ზეპირი თუ წერილობითი საჩივრები შემოდგით.

მოგახსენებთ: დახმარების პროგრამა ჩვეულებრივ გრძელდება. ახალი დებულების საფუძველზე კი ხორციელდება მეორადი განცხადებების მიღება. ოჯახს, რომლის შემოწმებიდან, ანუ ოჯახში აგენტის შესვლიდან გასულია 1 წელი, შეუძლია გააპროტესტოს მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამომხატველი მინიჭებული სარეიტინგო ქულა, შეავსოს განმეორებითი განაცხადი, რომლის შესწავლისა და დამუშავების შემდეგ მოხდება აგენტის ხელმეორედ მივლინება ოჯახში.

საერთოდ დეკლარირებული სიები ექვემდებარება ყოველ 2-3 თვეში გადამოწმებას. არასწორი ინფორმაციის ან სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში ოჯახს შეუწყდება დახმარება და მომდევნო სამი წლის განმავლობაში უფლებას კარგავს მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება.

ბუნებრივია, ძირითადად მინიჭებულ მაღალ ქულებზეა საჩივარი (ვემსახურებით 52000-იან და უფრო დაბალი ქულების მქონეთ).

რამდენი სოციალური აგენტი ემსახურება მოსახლეობას, რამდენად ობიექტურად ემსახურება და როგორია მათი შრომის ანაზღაურება?

სოცაგენტებს ფიქსირებული ანაზღაურება მოეხსნათ. ამჟამად გამომუშავებითი ხელფასი აქვთ–1 დეკლარაციის შევსებისთვის–4 ლარი. მათ მუშაობაში რამე სერიოზულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ჩვენს საქმიანობაზე სათანადო დახმარებასა და კონტროლს ახორციელებს სამხარეო სააგენტო.

მესმის, გაქვთ ოფიციალური კრიტერიუმები, ასე ვთქვათ, კომპიუტერული ათვლა, რომელსაც ეყრნობით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანური ფაქტორი, ადამიანურად გათავისება ოჯახის ყოფისა და ცხოვრებისა... როგორ მუშაობს ეს ფაქტორი თქვენს შემთხვევაში?

დიახ, ადამიანები ვართ და ადამიანური ფაქტორი ჩვენთვისაც მნიშველოვანია, მაგრამ სამწუხაროდ, ოჯახის მონაცემების ფაქტორს ვერ უგულველვყოფიმას, რაც მონაცემთა ბაზაში მოხვდება, ჩვენ ვერ შევცლით.

რას ეტყოდით მოსახლეობას?

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა ჰაერივით გვჭირდება. ჩვენს კომპეტენციაში არ შედის ადგილებზე გამოვიყენოთ აქტივი ან ვინმე სხვა, ჩვენ, როგორც უკვე იცით, ვენდობით, ოჯახის უფლებამოსილ წევრებს, რომელთაც, სამწუხაროდ, ხშირად შეცდომაში შევყავართ. თქვენი თანადგომით მართლაც გაჭირვებულს უნდა დავუდგეთ გვერდში. ეს პროგრამა ხომ „ცილოვან შიმშილზეა“ გათვლილი.

მუშაობის როგორი ბაზა და პირობები გაქვთ?

ვცდილობთ მოვერგოთ პირობებს, რომელშიც ვმუშაობთ. განსაკუთრებით გვჭირდება კომპიუტერი, რომ შემოსულ მთხოვნელს ოპერატიულად ვუპასუხოთ და წარამარა არ გვიხდებოდეს გამოთვლით ცენტრთან კონტაქტი.

წარმოიდგინეთ ჩვენი აგენტების მუშაობა, რომელთაც ფეხით უხდებათ მთელი რაიონის კარდაკარ შემოვლა. ზედმეტია ლაპარაკი რაიმე სამივლინებო თანხებზე.

* * *

სამუშაო დღე თითქმის მიიწურა. ჩემი იქ ყოფნისას არა ერთი მთხოვნელი შემოვიდა: ზოგიც კოსულტაციისთვის, ზოგიც უკმაყოფილო... ხალხი ორბაშათსა და პარასკევს უნდა ნახოთ, გადაღმიდან ავტობუსი რომ გადმოდისო. აქ მართლაც დიდი გულისხმიერება და ნერვებია საჭირო.

მასპინძლები გულისყურით უსმენენ ყველას. უცხერიდან ყოველგვარი საბუთის გარეშე ჩამოსულ მთხოვნელს გამოთვლილი ცენტრის დახმარებით სარეიტინგო ქულაც კი გააცნეს...

ასე რომ, წარა-მარა იღება სააგენტოს კარი. ახალგაზრდა, კომპეტენტური კოლექტივი დღენიადაგ მუშა-ფორმაშია.

მზეევინარ ძნელაძე

უკეთესის მოლოდინში

(დასასრული)

ტოვებს. მისი დამსახურებაა, რომ მრავალი ქვეყანისათვის უცნობი საქართველო თავისი პრობლემებით, დღეს ყველას ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი ნარმატებები საერთაშორისო დიპლომატიურ არენაზე ხვალინდელი დღის იმედს გვიძლიერებს, მაგრამ ძალიან ბევრი რთული პრობლემა რჩება ოჯახში, ქვეყანაში. პირველ რიგში ეკონომიკას უჭირს. ვერა და ვერ წამოდგა ფეხზე მრეწველობა. ქვეყნის ძლიერების წამყვანი ძალა სოფლის მეურნეობა სავალალო მდგომარეობაშია. ჯერ კიდევ ადრე დიდი მგოსანი გვმოძღვრავდა „რა ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო“.

მე შორს არ წავალ, ჩვენი რაიონის მწარე სინამდვილეს შევახსენებ მკითხველს.

ამდენი უმუშევარი, დაუცოლშვილებელი, გაუთხოვარი ადამიანები არასოდეს არ ახსოვს ლეჩხუმს. ვინც მოახერხა, გზის ფული იშოვა, უცხოეთში გადაიხვეწა ბედის საძებრად. ჩვენი ახალგაზრდა ქალები თურქი, ბერძენი, სხვა ჯურის ხალხების ოჯახებში სხვის შვილებს ზრდიან, მამაკაცები დღიურ მუშებად დამამცირებელ საქმეს ეწევიან. ახალგაზრდები ოჯახს ვერ ქმნიან იმის შიშით, რომ შვილების აღზრდას ვერ შეძლებენ. ვინც ოჯახს მოეკიდა, ერთი ბავშვით კმაყოფილდება. ორი იშვიათად ჰყავთ. მრავალშვილიანობას ვინ გაბედავს...

არა, საბედნიეროდ გამოჩნდა ასეთი მრავალშვილიანი ოჯახიც. გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ დეკემბრის ნომერში საინტერესო წერილი დაიბეჭდა. ლეჩხუმელ დათო ბენდელიანს და მის მეუღლე ქეთინოს 7 ბავშვი ჰყავთ. სახელმწიფომ ამ ჭეშმარიტად გმირ დედას მე-7 შვილზე დახმარების სახით 38 ლარი მისცა. მწარე სინამდვილეა.

ამავე დროს ამ დღეებში პრესა იუწყებოდა, რომ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის, თვიური ხელფასი 25 ათას ლარს შეადგენსო. ვინ არის ეს კაცი, ნეტავ გამაგებინა, ამდენ ფულს რომ ღებულობს, ხელები არ უკანკალებს?

თქვე ოჯახ აშენებულო კანონმდებლებო, რა კრიტერიუმით სარგებლობთ ხელფასების დადგენისას? ზოგს ათი ათასობით ლარი და მასწავლებელს, ვინც თაობას გვიზრდის 70-130 ლარი, ზოგს კი არც ამდენი?

ასეთი და უამრავი ნეგატიური მოვლენები ასახვას პოულობს დემოგრაფიულ მონაცემებში, რომელმაც ჩვენი რაიონის სინამდვილეში კატასტროფული ხასიათი მიიღო.

შესაშური გულისხმიერებით არიან ერთმანეთთან შეკრული მაღალჩინოსნები, სახელმწიფო მოხელეები სოკოებივით მომრავლდნენ მილიონერები. საიდან შოულობენ ამდენ ფულს?

გასულ წელი გამოცხადებული იყო სკოლების მშენებლობის წლად. ჩვენს რაიონში ცაგერის საშუალო სკოლის შენობის ძირეული რეკონსტრუქცია იყო დაგეგმილი. წლის ბოლოს პრეზიდენტს მოახსენეს რესპუბლიკაში გათვალისწინებული სკოლების მშენებლობა დასრულებულიაო. ამ დროს ცაგერის საჯარო სკოლის მშენებლობა ჯერაც დაუმთავრებელია.

პრობლემები ძალიან ბევრია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალები, ძალოვანი სტრუქტურები არასდროს ასე ძლიერი არ ყოფილან როგორც დღეს. მაგრამ მოსახლეობის 70%-ს ძალიან უჭირს ეკონომიურად, სულიერად. სახელმწიფო ვალდებულია თვალის ჩინივით უფრთხილდებოდეს თავის მოქალაქეებს. მეტ პატივს სცემდეს ადამიანებს, ომის ვეტერანებს, რომლებმაც თავის დროზე სიცოცხლე არ დაიშურეს სამშობლოს გადასარჩენად.

ქართველი კაცი იმედით ცოცხლობს, სწამს რომ ხვალე უკეთესი იქნება.

შალვა ცვარიანი,
სამამულო ომის ვეტერანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭ ცხვ თვლიოლობბია: იბცილოიკი. ლიკეთი ლა... ლამშვილიბოლი ლიბლაცი

ოჯახი

ამ ოჯახზე ხშირად მიფიქრია... და აი, ერთ მშვენიერ დღეს ქალისთავში ვარ-გელა და ციცინო კოპალიანების ფუძეზე. შინ ციცინო და უმცროსი ქალიშვილი ნათია დამიხვდნენ. შესვლისთანავე ვიგრძენი სითბო და უშუალობა, უზომო სიხარული, შინაურული გარემო.

ნათიამ საოჯახო ალბომები მომირბენინა, ოჯახის უნიკალური წიგნები, წინაპრების ჯილდოები... მალე გულღია საუბარიც აეწყო.

ჟოზია ყურაშვილი

ციცო და გელა

ფესვები

ამ ოჯახის მამა არაჩვეულებრივი ლეჩხუმელი იონა კოპალიანი გახლდათ. ბატონმა იონამ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა ისტორიის სპეციალობით. მისი კურსელები, გვიყვება ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი ციცინო, ყოფილან დავით მჭედლიშვილი (გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ათეული წლების მანძილზე), კანდიდ ჩარკვიანი (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი) და სხვა ცნობილი სახეები.

უგანათლებულესი კაცი ყოფილა იონა კოპალიანი. ოჯახი ახლაც სათუთად ინახავს მის უნიკალურ პირად ბიბლიოთეკას, კლასიკოსთა ტომეულებში მის მიერ ჩანიშნულ და ხაზგასმულ საგულისხმო ადგილებს. პაპუა თურმე გზაშიც წიგნს კითხულობდაო, _ამბობს ნათია.

სწავლის დასრულების შემდეგ იონა მასწავლებლად მუშაობდა რაიონის სხვადასხვა სკოლაში. ერთხელაც ერთი ლამაზი და გონიერი გოგონა, მისივე მოსწავლე ჟოზია ყურაშვილი მოწონებია და მანამდე არ მოშვებია, სანამ თანხმობა არ მიუღია. ასე შეიქმნა სიყვარულით ოჯახი.

თავდაპირველად თბილისში ცხოვრობდნენ. ჟოზიამ სასოფლო-სამეურნეო, შემდეგ კულტ-საგანმანათლებელო ტექნიკუმი დაამთავრა და ერთ-ერთი ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. ორივე შვილი_ბახვა და გელა თბილისში შეეძინათ, ბინაც ჰქონდათ, მაგრამ...

ჩამოდგა ავადსახსენებელი წლები. გადაასახლეს იონას ძმა ბესო კოპალიანი. საფრთხე იონასაც უახლოვდებოდა. ცოლ-ქმარი იძულებული გახდა ლეჩხუმში დაბრუნებულიყო მაინც საკუთარ კერაზე ირჩიეს.

შინ დაბრუნებული იონა აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას. მუშაობდა განათლების, კულტურის განყოფილების გამგედ.

სამამულო ომის მძიმე წლებში ქალბატონი ჟოზია ჭალისთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს და 15 წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობდა სოფელს. სოფელი ენდობოდა და მიჰ ყვებოდა ვაჟკაცური შემართების ქალს, თვალებში შეჰყურებდა. ახლაც ბევრს ახსოვს ცხენზე ამხედრებული თავმჯდომარე ფერმებსა თუ ველ-მინდვრებში მიმავალი, თანასოფლელთა შორის სვრელში ჩამდგარი, მომთხოვნი და სამართლიანი. ერთ დღესაც ასეთი ბრძანება მიუღიათ_სასწრაფოდ გადაეხურად, უფრო სწორედ, ჩაეხერგათ აეროპორტი ჯირკებით, ფიჩხით, ქვა ლოდით, რომ მტრის თვითმფრინავი ვერ დამჯდარიყო. მთელი სოფელი ფეხზე დადგა, დაავალება საღამომდე შესრულდა თავმჯდომარის წინამძღოლობით.

შემდეგ წლების მანძილზე პარტორგად მუშაობდა ცაგერის კოლმეურნეობაში. ცოლ-ქმარს მათზე ბედნიერი ოჯახი არ ეგულებოდა, შრომობდნენ, უღლად ბიჭებს ზრდიდნენ, სიცოცხლით ტკბებოდნენ, მაგრამ...

1958 წელს, ჯერაც ახალგაზრდა 54 წლის კაცს იონა კოპალიანს სრულიად უბრალოდ, ცხენის წყალში ქვაზე ფეხი დაუცურდა და... დაიხრჩო.

ეს იყო საშინელი ტრაგედია, მაგრამ ცოლს ღმერთმა მისცა ძალა გადაეტანა დიდი მწუხარება. მას აქეთ ქვრივის პატიოსანი ლეჩაქით იარა ჟოზია კოპალიანმა, შვილებს ძუ ვეფხვივით გადაეფარა და ყველაფერი მისცა.

***

სიცოცხლის ბოლო წლებში ჟოზია კოპალიანი ცაგერის რძის მიმღებ პუნქტის უფროსად მუშაობდა.

უდიდეს პატივს ვცემდი ჟოზია დეიდას (ასე ვეძახდი). პატივს სცემდა მთელი ლეჩხუმი. მას ორი რამ დაანათლა უფალმა_სიმართლის თქმისა და სიკეთის ქმნის ნიჭი. მასთან შეხვედრა და საუბარი ერთი დიდი სიამოვნება იყო. არაჩვეულებრივი ქალბატონი და ღირსეული პიროვნება ნებისმიერი ღონისძიებების საპატიო სტუმარი იყო, შემოაბიჯებდა დარბაზში თავისი ხიბლით, სიდარბაისლით, ჯილდოებით მკერდამშვენებული, თუ საჭირო იყო, თავისას იტყოდა.

განსაცდელი ძლიერთა ხვედრიაო_უფროსი შვილის ბახვას დაღუპვასაც მოესწრო. ამას კი ვეღარ გაუძლო და ჩავარდა ლოგინად. თუმც შვილმკვდარ დედას ბახვას ცოლშვილი ასულდგმულებდა. ისინი ჩვენის საზოგადოების ღირსეული წევრები გახლავთ_ რძალი იზო ბობოხიძე (ღვაწლმოსილი პედაგოგი); შვილიშვილები_ნინო (ცაგერის სახალხო ბანკის მმართველი) და ნანა (ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგი)

ბოლოს სარეცელს მიჯაჭვული მოვინახულეთ მე და ჩემმა მეგობარმა.

მოვეფერეთ, თავად დაარღვია მდუმარება და გვესაუბრა, ამბები გამოგვკითხა, ყველა მოიკითხა.

მას შემდეგ მალე წავიდა ამქვეყნიდან_შეუერთდა მონატრებულ ქმარშვილს.

გამიგრძელდა სევდიანი საუბარი, რამეთუ წარსულის გარეშე არ არსებობს აწმყო და მით უფრო მომავალი. ჟოზია, იონა კოპალიანებმა შთამომავლებს მყარი საფუძველი ჩაუდეს და შიგ სიკეთე და პატიოსნება ჩაადულაბეს.

„კვიცი გვარზე ხტისო“

გელამ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დაამთავრა. ლეჩხუმში დაბრუნდა. მუშაობდა ჩქუმში, დღემდე ბარდნალის საშუალო სკოლაში ფიზიკოსად.

ციცო ბარდნალის სკოლის წარჩინებული მოსწავლე იყო, თუმც ფიზიკასთან მწყრალად ვიყავი და გელა მასწავლებელი ხშირად მატეროებდაო, ხუმრობს. თურმე თვალი დამადგა_ამაში, ქუთაისში რომ ვაბარებდი მისაღებ გამოცდებს და იქ დამეხატა, მაშინ დავრწმუნდი, დამეხმარა კიდეც. „კვიცი გვარზე ხტისო“_მამის ტრადიცია არც გელამ დაარღვია და დაქორწინდნენ. ციცომ ინსტიტუტი დაამთავრა, დაწყებითი განათლების პედაგოგი გახდა. წლების მანძილზე მუშაობდა ლაბორანტად და მასწავლებლად ამჟამად უმუშევარია ძალზე განიცდის, ასაკი მაინც მქონდეს, პენსიას მივიღებდიო, გულისტკივილით ამბობს.

ოჯახს რაც მოსდგამსო... კარგ დედამთილს კარგი რძალი ჩაენაცვლა...

არაჩვეულებრივი ქალია ციცო, გულღია მოსაუბრე, კუთხეში გამორჩეული ყველას რომ უყვარს, ისეთი.

ამასობაში გელაც დაბრუნდა სკოლიდან. მეგობართან ცოტა შეზარხოშებული უფრო გულგახსნილი და უკომპლექსო იყო.

განათლების რეფორმაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მე თუ მკითხვათ, სკოლას სხვანაირი ყურადღება სჭირდებაო. მთელ განაკვეთზე ვმუშაობ და 120 ლარამდე ხელფასს ვიღებ. ოჯახში უმუშევარი მეუღლე, სამი შვილი, მტერი და მოყვარე... ახლა კიდევ რა გვიჭირს ორმა დაამთავრა და უმცროსიც დაამამთავრებელ კურსზეა.

ის წლები არ გამახსენა, სკოლა რომ დაასრულეს და სტუდენტობა გადაწყვიტეს, კინაღამ გადავაფიქრებინეთ. მერე რის ვაი-ვაგლახით გაგზავნეთ ბავშვები. მისაღები გამოცდები რომ წარმატებით ჩააბარეს, კი გაგვეხარდა მაგრამ... როგორ შეგვენახა სტუდენტები.

აღარ გავაგრძელებ. ღვთის მადლით ვწვალობთ, რაღაცას საკუთარ მეურნეობაში ვახერხებთ და ასე გაგვაქვს თავი ხვალის იმედით.

სპორტი მიყვარს და ეს ძალიან მშველის. მთელი საქართველო ფეხით მაქვს მოვლილი. კალაში (სვანეთი) სამჯერ ავედი ფეხით, როგორც მორწმუნე და მოლაშქრე.

ვუსმენ ცოლ-ქმარს, ვეთანხმები და ვფიქრობ... ინტელიგენციისადმი ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება კარგს ვერაფერს მოგვიტანს.

ამასობაში მასპინძლებმა სუფრა გაშალეს და იქ გავაგრძელეთ საუბარი. არაჩვეულებრივი თამადა გამოდგა ციცო_იუმორით სავსე.

შვილები

სამი ქალიშვილი ჰყავთ კოპალიანებს.

უფროსმა_ ქეთევანმა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა ეკონომისტის სპეციალობით. ნელინადნახევარი გერმანიაში დაჰყო, ახლა თბილისშია და ცდილობს დასაქმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ გერმანიაში ფიქრობს გამგზავრებას.

მომდევნო ხათუნამაც უნივერსიტეტი დაამთავრა წითელ დიპლომზე, გერმანისტის სპეციალობით. მე-6 წელია გერმანიაშია, ამჟამად სწავლობს ქ. აუქსბურგში მაგისტრატურაში, ხელოვნებისა და პედაგოგიკის სპეციალობით. პარალელურად მუშაობს. ფლობს გერმანულ და ინგლისურ ენებს, ახლა ესპანურსა და იტალიურს ეუფლება, სარგებლობს ევროვიზით.

უმცროსი_ნათია, რომელსაც ახლა არდადეგები აქვს და სახლშია, ჯავახიშვილში ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამამთავრებელ კურსზეა. არის უნივერსიტეტის ფრენბურთელთა ნაკრების წევრი. მისი ოცნებას გერმანიაში გამგზავრებაა.

?!

კი მაგრამ რატომ სამივეს ასეთი მიდრეკილება.

გერმანულს, მიხსნის ნათია, სკოლაში მაია ბენიძე გვასწავლიდა. (ბარდნალის სკოლის პედაგოგის კადრიბ და ცაცა ბენიძეების ქალიშვილი), მან შეგვაყვარა გერმანული ენა. თავად მაია ახლა ბელგიაშია ოჯახით.

***

ასეთი შვილები ბედნიერებაა და რასაკვირველია ხარობს დედ-მამა, თუმც ხანდახან წაიწუწუნებენ: ნეტავი კი იყოს ელემენტარული პირობები და შვილები აქ იყვნენ, საქართველოში_ჩვენს სიახლოვეს.

ვერც გაამტყუნებ.

***

არც ისე ბევრია ასეთი ოჯახი ჩვენში. ჩემი მასპინძლები სხვა ფასეულობებით ცხოვრობენ: ინტელექტით, სიკეთით, სიყვარულით და... დამშვიდებული სინდისით.

მზევინარ ძნელაძე

თამაზ (ჯუჯა) თაგვაძე

ხსოვნა



ჩვენო ვაჟკაცო, ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრება! მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ. 55-ის გახდებოდი. აბა, რა დიდია ეს ასაკი, რამდენი გეგმა გქონდა წინ, რამდენი ოცნება...

ვერაფერი შევძელით, ვერაფრით გიშველეთ. ახლა შენ საფლავთან ვდგევართ გულდათუთქულები, სანთლებს გინთებთ, ალალ ცრემლს გაყრით და ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისათვის.

ჩვენო საამაყო თამაზ! შვილები, შვილიშვილები, დედმამიშვილები, _ყველა შენ შემოგყურებდით, შენს გვერდით თავს დაცულად ვგრძნობდით, არაფერი გვაშინებდა, ბედნიერები ვიყავით.

მძიმე ავადმყოფი თავად გვაიმედებდი, არც საყვარელ საქმეს თმობდი, ვაჟკაცურად უძლებდი ტკივილსა და დარდს.

სიკვდილის წინ დღეებში შენი საყვარელი მანქანით ცაგერი და ქვედა ცაგერი შემოიარე, ყველა მოინახულე, მოესიყვარულე, მოეფერე და...

ეს შენი უკანასკნელი გავლა-გამოვლა იყო.

წახვედი ნაადრევად უხმოდ, უსაყვედუროდ. თვალებით შვილებსა და შვილიშვილებს უხმობდი, განსაკუთრებით პატარა თაზუკას, ბაბუის სეხნიასა და იმედს.

ვერაფრის გშველით ჩვენო ტკივილო და სიყვარულო! ვცოცხლობთ შენი მონატრებით და მოგონებით. ერთს კი შეგპირდებით: ყველაფერს გავაკეთებთ არაფერი დავაკლოთ შენს ხსოვნას და ლამაზ სახელს.

მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, დედმამიშვილები

რაიონული ტურნირები

რაიონის სპორტის განყოფილების ინიციატივით წლიური კალენდარას პროგრამის მიხედვით ჩატარდა რაიონული ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ნარდში — რაიონულ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სოფლებისა და ქ. ცაგერის 24 მონაწილემ. მათ შორის: I ადგილი დაიკავა გიორგი სილაგაძემ ქ. ცაგერი (ლტოლვილი); II ადგილი გოჩა მუშკუდიანმა (სოფ. ლასურაში); III ადგილზე გავიდა ვალერი მუშკუდიანი (ქვ. ცაგერი).

შაშში — 16 მონაწილეს შორის გამარჯვება მოიპოვა გოჩა მუშკუდიანმა (სოფ. ლასურიაში), II ადგილი მოიპოვა ზურაბ ჩორგოლიანმა (ქ. ცაგერი); III —საპრიზო ადგილი დაიკავა კორნელი კოპალიანმა (სოფ. გვესო).

ჭადრაკში — მონაწილეობა მიიღო 14 მოჭადრაკემ, რომელთა შორის ჩემპიონი გახდა სპარტაკ კვირიკაშვილი (სოფ. ჩხუტელი); II ადგილი დაიკავა მერაბ ახვლედიანმა (ქ. ცაგერი); ხოლო III —საპრიზო ადგილი დაიკავა ქეთი სალინაძემ (ცაგერის საშუალო სკოლა).

გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული მოთამაშეები სახეობების მიხედვით დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

გ. სილაგაძე
მთ. სპეციალისტი სპორტის სფეროში

ჩვენ გვწერენ

■■■

ქალაქის აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე ერთი პაწია ჯიხურია. მასში ათეული წლებია მუშაობს ფეხსაცმლის შემკეთებელი ზაურ კოპალიანი.

ბევრი კლიენტი ჰყავს ხელოსანს და ისიც დილიდან გვიან საღამომდე გულმოდგინედ შრომობს, რომ მომხმარებელი კმაყოფილი ჰყავდეს, შეკვეთა ხარისხიანად შეასრულოს და რაც მთავარია, ხელმისაწვდომ ფასებში.

მადლიერი ადამიანები მარჯვენას ულოცავენ ზაურ კოპალიანს.

ა. ნემსაძე, ქ. ცაგერი

■■■

ღვთის მადლით უამრავი სავაჭრო ობიექტია ცაგერში. ფული იყოს და რას არ იყიდის კაცი და ამ ფონზე რა გასაკვირია, რომ არავის უჩნდება თუნდაც სურვილი წიგნი შემოიტანოს საჭარო ქსელში.

ძვირფასო რედაქცია! ამის თაობაზე არაერთხელ დაიწერა ჩვენს გაზეთში მაგრამ...

გთხოვთ ერთხელ კიდევ გამოაქვეყნოთ ჩვენი თოვნა:

საქმიანო ადამიანებო! რა ჟანრის ლიტერატურა არ გამოდის დღეს ბაზარზე. ჩვენთვის, ლეჩხუმელებისათვის კი მისი შეძენა მიუწვდომელია.

გთხოვთ იფიქროთ ამაზე. გწამდეთ, ლეჩხუმში წიგნს ნამდვილად ეყოლება მყიდველი.

მ. მუშკუდიანი, ქ. ყურაშვილი, მ. ნემსწვერიძე

სიბრძნის საგანძურიდან

ეპისკოპოსი გაბრიელი: დიდკაცობა და მთავრობა არა მოსვენება არის და განცხრომა, არამედ ტვირთი, შრომა და მოღვაწეობა, არა ქვეყანა უნდა ემსახურებოდეს მთავარსა და დიდკაცსა, არამედ უკანასკნელი უნდა ზრუნავდეს და ემსახურებოდეს ქვეყანას.

***

ვახტანგ მეექვსე: კაცი მრავლისა სიტყვითა ჭკუას ვერ გამოაჩენსა.

***

სეგური: ლონე შურიანი კაცისა–ცილისწამებაა.:

***

ეზოპე: ზვიადი და ჯიუტი კაცი ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებს, არავის რჩევას ყურს არ უგდებს და უმალ თავისი შეცდომების მსხვერპლი ხდება.

***

სერვანტესი: კაცს შეუძლია გამოიცვალოს ჰავა, მაგრამ არა ძვალ-რბილში გამჯდარი ხასიათი.

***

ჟან კოკტო: არ წელსაც რომ ვიცოცხლოთ, ესეც ორი წამია მხოლოდ, მაგრამ იშვიათად თუ აღიარებს ვინმე, რომ ჩვენ საქმეებით ვიქცევთ თავს და ბანქოს ვთამაშობთ ექსპრესში, რომელიც სიკვდილისაკენ მიქრის.

***

ალექსანდრე მაკედონელი: ვინც უპირველეს ყოვლისა არ არის ადამიანი, ვერასოდეს გახდება ექიმი.

***

პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ჩანს მოვლენები და არა ის, თუ რა არის სინამდვილეში.

***

რატომ არ შეიძლება ვიყოთ ის, რაც ვართ?!

***

ფრანკლინ დელანო რუზველტს (1892-1945) 39 წლის ასაკში პოლიომელიტის შედეგად ფეხები წაერთვა. იგი ერთადერთია, ვინც ოთხჯერ აირჩიეს ამერიკის პრეზიდენტად.

***

თემურ ლენგი კოჭლობის დროს დაკოჭლდა.

***

ლუი ბრაილი (1809-1852) სამი წლისა დაბრმავდა, გახდა მასწავლებელი და შეიმუშავა ბეჭდვისა და წერი სისტემა უსინათლოთათვის, რომელსაც ბრაილის ანბანი ეწოდება.

***

ჰომეროსი–ანტიკური პერიოდის ბერძნერი პოეტი–,,ოდისეასა" და ,,ილიადას" ავტორი, უსინათლო იყო.

***

ეზოპე–ანტიკური ეპოქი დიდი მეიგავე–კუზიანი და უსახური იყო.

***

ულის გრანტი–ამრიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი–ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული.

ვაჟა ხორნ[illegible]

პოეზია

***

მიწის დუმილში კვნესაა,
ცა ინახება ცრემლითა,
გზა როდის აგვიმწვანდება,
ნათიბი დარდის ცელითა?

გაჯაღარავდა იმედი
წუხილით ძველზე ძველითა,
ვერ გავახარეთ მამული
არ მიგვესვლება ზევითა!

ტკივილი

დაობლებული ფესვები,
მიტოვებული ამური
კაცები—არაკაცური,
ქალები—არაქალური.

ლალაცრის ზუდეზ ქცეული
მეფის სახლი და ჩალური
საუნჯე—მამა–პაპისა
ნართმეულ–გადამალული.

ციხე—შიგნიდან გამტყდარი,
საქმენი შადიმანური
მსოფლიო—მღვრიე ბაზარი,
ცივი და მიმობნეული.

ჩვენს ტანჯულ მდინარეებში
მტრისგან გაკრული „მხარული".
ხავსმოდებული ზღურბლები,
კორდები—გადაგვადული.

გაგლეჯილ გულთა ნამღერი
„ლილე" და იავნანური.
არწივი ისევ დაჭრილი
დარდი და ცრემლი—ღვარული
მარადიული ტანჯვისთვის
დაბადებული მამული!

***

ცის ფიქრი აგიყოლიებს,
ჩრდილს დაასვენებს მთაზედა,
იელვებს ძველი ტკივილი,
როგორც მზის შუქი ხმალზედა.
მონატრებისგან ლამაზი
დარდი დაგიწვენს მკვლავზედა.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
მზა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
მზა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 ტელ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „მანდარიას სტამბაში"
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23779, 23499